გაცნობებთ, რომ, ვინაიდან მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის №3 – მიმდინარეობს ჩვენი სათაო ოფისის სარემონტო სამუშაოები, ჩვენი საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენმა ორგანიზაციამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება შპს ~აფთიაქი №3~თან, მისამართზე – ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №1, შესაბამისად აღნიშნულ მისამართზე, ცნობადობისათვის და მოქალაქეებისათვის სრულყოფილი მომსახურების გაწევის მიზნით, დღის წესრიგში დადგა დროებით სარეკლამო აბრის და ბანკომატის განთავსების საკითხის გადაწყვეტა. რაზედაც თქვენი 26.11.2015წლის №2313915 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე მიეცა დადებითი შეფასება, ასევე ზემოაღნიშნული საკითხის განხილვისათვის თქვენი სამსახურის მიერ მოთხოვნილ იქნა შპს ~აფთიაქი №3~ –ის, ლალი სირბილაშვილის, მანანა ბარაბაძის, ნინელი ჭეიშვილის და დარეჯან ჩაჩუას თანხმობები, რაზედაც მოგახსენებთ, რომ, შპს ~აფთიაქი №3~თან, რომელიც საერთო საკუთრებიდან 75% მფლობელია – გაფორმებული გვაქვს იჯარის ხელშეკრულება, ხოლო, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად აღნიშნული პიროვნებები, ვერ იქნა მოძიებული.

მოგახსენებთ, რომ მისამართზე ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №1–ში არსებულ შენობაზე დროებით – სამი თვის ვადით სარეკლამო აბრის და ბანკომატის განთავსება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ორგანიზაციის საქმოანობისათვის, შესაბამისად არნიშნული საკითხის მოუგვარებლობა მოგვაყენებს ჩვენ ზარალს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და მოგვცეთ თანხმობა მისამართზე ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №1–ში არსებულ შენობაზე დროებით – სამი თვის ვადით სარეკლამო აბრის და ბანკომატის განთავსების შესახებ.